ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 189

"9" ივნისი 2015 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №140ა / ქ.თბილისში, ქუჩა პასტერი №7-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ №01.13.08.009.041.) ა(ა)იპ - „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიისთვის" (ს/კ №402008046) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1.თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 27 მაისის №21.09.618 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №140ა / პასტერის ქუჩა №7-ში (ს/კ №01.13.08.009.041.) შენობა-ნაგებობა №1-ში, მე-5 სართულზე არსებული 355,12 კვ.მ. ფართის ა(ა)იპ - „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიისთვის" (ს/კ №402008046) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი